

დამაგრებული 517.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით.

მუსლი 2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, იმერეთის ქუჩა N19-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.10.267, შენობა-ნაგებობა N1 და მასზე დამაგრებული 283.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 20578.50 (ოცი ათას ხუთასსამოცდათვრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარით, „ბე“ განისაზღვროს 4115.70 (ოთხი ათას ასთხუთმეტი ლარი და სამოცდაათი თეთრი) ლარით, ხოლო ბიჯი განისაზღვროს 500.00 (ხუთასი) ლარით; ქალაქ ფოთში, კონსტიტუციის ქუჩა N45-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.01.572, შენობა-ნაგებობა N1 და მასზე დამაგრებული 517.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 30013.50 (ოცდაათი ათას ცამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარით, „ბე“ განისაზღვროს 6002.70 (ექვსი ათას ორი ლარი და სამოცდაათი თეთრი) ლარით, ხოლო ბიჯი განისაზღვროს 500.00 (ხუთასი) ლარით.

მუსლი 3. განისაზღვროს საპრივატიზებო უძრავი ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი: 2023 წლის 30 აგვისტოს 15:00 საათიდან, 2023 წლის 13 სექტემბრის 15:00 საათამდე.

მუსლი 4. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი „ბე“ ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

მუსლი 5. საპრივატიზებო უძრავი ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

მუსლი 6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში ფორმდება მუნიციპალიტეტის ქონების მმართველსა და მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება.

მუსლი 7. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

მუსლი 8. ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი „ბე“ სრულად ირიცხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ:

ა.) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა.

ბ.) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სრულად არ გადაიხადა მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

მუსლი 9. თანხა აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გადაიხადოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, სახაზინო კოდი: 300423313 (შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან).

მუსლი 10. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებგვერდზე www.eauction.ge, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული აუქციონის ჩატარებას.

მუსლი 11. უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებო უძრავი ქონების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე poti.gov.ge.

მუსლი 12. წინამდებარე ბრძანების სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებგვერდზე www.eauction.ge-ზე განთავსება უზრუნველყოფს ქონების მართვის განყოფილებამ, ხოლო ინფორმაციის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე poti.gov.ge-ზე განთავსება უზრუნველყოფს საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებამ.

მუსლი 13. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმად განისაზღვროს საპრივატიზებო უძრავი ქონებაზე ყველაზე მაღალი ფასის გადახდა.

მუსლი 14. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სამსახურის უფროსს ნინო გვასალიას.

მუსლი 15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი განონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

მუსლი 16. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბექა ვაჭარაძე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

